ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №249480

ნომერი: AR163640

თარიღი : 03.07.2012

გაცემის თარიღი : 09.07.2012

გაცნობის თარიღი : 09.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , აეროპორტის გზის მიმდებარედ , ნაკვეთი 01/035 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , აეროპორტის გზაზე (ნაკვეთი 01/033); ქალაქი თბილისი , აეროპორტის მიმდებარედ , ნაკვეთი 01/041 ; ქალაქი თბილისი , აეროპორტი , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/022) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 13 , მიმდებარედ , (ნაკვ. 02/010) ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და ქალაქ თბილისის 2009 წლის 27 მარტის # 4-13 გადაწყვეტილების მე-3 თავის თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 3 ივლისის №AR163640 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, არეროპორტის გზაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე იუმაშევის ქ. №13–ის მიმდებარედ არსებულ №01.19.15.002.005, №01.19.15.002.010, №01.19.15.002.022 №01.19.15.001.041, №01.19.15.001.033, და №01.19.15.001.035 მიწის ნაკვეთებზე სასაწყობე შენობა–ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი და განცხადებაზე თანდართული ეზკიზური ვარიანტი განიხილა ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” №26 სხდომამ, რომლის დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე უნდა მომზადდეს ქალაქ თბილისის მერის განკარგულება და გაიცეს სპეციალური ზონალური შეთანხმება სასაწყობე შენობა–ნაგებობების კომპლექსის განაშენიანებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებაზე საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი ზონის (სამრეწველო ზონა 1) და პარამეტრების შესაბამისად (კ–1=0.1; კ–2=0.1 და კ–3=0.3).

ასევე ცვლილება უნდა შევიდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაშიც და უნდა დაფიქსირდეს დამატებული №01.19.15.001.041, №01.19.15.001.033, და №01.19.15.001.035 მიწის ნაკვეთები.

იმისთვის, რომ სამსახურმა შეითანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი თქვენ უნდა წარმოადგინოთ სრული პროექტი .

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების პარალელულად საკითხი უნდა დააყენოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზეც, დახარვეზებულ ველში.

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესათანხმებლად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 5 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა სრული პროექტის წარმოსადგენად და შესაბამის მოთხოვნის დასაყენებლად. სამსახურს დარჩენილი აქვს 25 სამუშაო დღე; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება არმოდგენილი სრული პროექტი და არ იქნება დაყენებული შესაბამისი მიოთხოვნა, განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

შენიშვნა: სრული პროექტი და შესაბამისი მოთხოვნა აიტვირთოს განაცხადის დახარვეზებულ ველებში

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.